პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

17 მარტი შაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 64 (15581)

17–18 მარტს მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერების დღეებია

ინიციატორებთან

სილნაღის რაიონის ტიბაანის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმის პირველი ბრიგადის მეცხოველეები მიმდინარე წლის თებერვლის დასაწყისში ჩაებნენ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. ტიბაანელებმა სიტყვა საქმედ აქციეს. ფერმების დათვალიერების დღისათვის მათ გადამეტებით შეასრულეს წველადობის პირველი კვარტალის გეგმები და ვალდებულებები. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 283 კილოგრამი რძე, შარშან ამავე პერიოდში კი 252 კილოგრამი. ოყო მიღებული. დაწინაურდნენ უ. უურაშვილი, გ. მაზმანიანი, გ. ათანელიშვილი. სურათზე: მარცხნიდან — მწველავები გ. ათანელიშვილი, გ. მაზმანიანი და მეძროხეობის ფერმის გამგე ი. ხაჩიშვილი.

ვ. ბენბიურის ფოტო.

ფერმები — სანიმუშო, პროდუქტები — უხვი!

შეჯიბრებაში დაჩინაურდნენ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით 17-18 მარტი საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური მასობრივი დათვალიერების დღეა, ასეთი ღონისძიება ჩვენში პირველად ეწყობა. შემოწმების დროს უურადღება მიქცევა პირუტყვისა და ფრინველის რაოდენობას, ჯიშობრივ შემადგენლობას, პროდუქციის წარმოების მოცულობასა და ხარისხს, პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფას, ზოოტექნიკური აღრიცხვის მდგომარეობას, შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციას, უფრმების რენტაბელობას, ვეტერინარულ მომსახურებას, მეცხოველეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს და სხვ.

მეცხოველეობის ფერმებში მთელი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება პროდუქტების სიუხვისათვის, ეფექტურობისათვის, რომ ახალი შრომითი მაჩვენებლებით შეხვდნენ დათვალიერების დღეს. ქვემოთ ვბეჭდავთ ცნობებს იმის შესახებ, თუ ზონიერთი რაიონის მეცხოველეები როგორი შრომითი მაჩვენებლებით შეხვდნენ დათვალიერებას.

ზითელწყაროს

რაიონის მეცხოველეები ენერგიულად შრომობენ და ამრავლებენ ცხვარ-ძროხას, იბრძვიან პროდუქტების სიუხვისა და მათი გაიაფებისათვის. მიმდინარე წლის ორთვენახევარში რაიონში მიღებული 28.297 ცენტნერი რძე, შარშან ამავე პერიოდში კი მიღებული იყო 21.500 ცენტნერი.

გუშინდელი რიცხვის ჩათვლით რაიონში დამზადებულია 8.006 ცენტნერი ხორცი, კვარტალის გეგმა კი 6.900 ცენტნერია. რძე სახელმწიფოს მიეყიდა 24 ათასი ცენტნერი, კვარტალის გეგმა კი 18.000 ცენტნერია.

მეცხოველეთა ინდივიდუალურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის მწველავმა **თარიმან ნატროშვილმა.**

მარტო გუშინ რაიონში მოიწველა 43.960 კილოგრამი რძე. შარშან 16 მარტს მოწველილი იყო მხოლოდ 29.969 კილოგრამი რძე.

სილნაღი

სასახელო მაჩვენებლები აქვთ სიღნაღის რაიონის მშრომელებს. ორ თვესა და 10 დღეში რაიონში სულ მოწველილია 12.307 ცენტნერი რძე, ანუ შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით 1.496 ცენტნერით მეტი. ერთ საფურაქი ძროხაზე მიღებულია 219 კილოგრამი რძე ნაცვლად 200 კილოგრამისა.

შეჯიბრების ინიციატორმა სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობამ მოწველილი 1.284 ცენტნერი რძე ნაცვლად შარშან მიღებული 1.086 ცენტნერისა. ერთ საფურაქი ძროხაზე მიღებულია 283 კილოგრამი რძე ნაცვლად 252 კილოგრამისა. ამ კოლმეურნეობის წველრმა **ეორა გურაშვილმა** მოწველილი 12.100 კილოგრამი რძე ნაცვლად 9.150 კილოგრამისა, ერთ ძროხაზე მიღებულია 756 კილოგრამი რძე ნაცვლად 572 კილოგრამისა, **ეორა მაზმანიანმა** ერთ ძროხაზე მიიღო 663 კილოგრამი რძე ნაცვლად 535 კილოგრამისა.

ძოგაულეთის

ვიმდინარე წელი კარგად დაიწყეს ქობულეთის რაიონის მეცხოველეებმა. ორთვენახევარში მოწველილია 3.800 ცენტნერი რძე ნაცვლად შარშან ამავე პერიოდში მიღებული 3.550 ცენტნერისა.

სახელმწიფოს მიეყიდა 2.700 ცენტნერი რძე ნაცვლად შარშან მიყიდული 2.000 ცენტნერისა. ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა ოკვი შესრულდა. სახელმწიფოს მიეყიდა 550 ცენტნერი ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 480 ცენტნერისა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ ზენითის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მუშაკი **ნიგელი გელაძე,** რომელმაც მოსავლელად მიჩინილ 10 ძროხიდან თვითეულზე მიიღო 392 კილოგრამი რძე ნაცვლად შარშან მიღებული 317 კილოგრამისა. ხუცუბნის კოლმეურნეობის ფერმის მწველავმა **ლია ლომაძემ** სამუალოდ ერთ ძროხაზე მიიღო 393 კილოგრამი რძე ნაცვლად შარშან ამავე პერიოდში მიღებული 318 კილოგრამისა, ლეღვის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მუშაკმა **ანიე ბაეფაშვილმა** ორთვენახევარში ერთ საფურაქი ძროხაზე მიიღო 294 კილოგრამი რძე. შარშან მხოლოდ 130 კილოგრამი იყო.

სოციალისტური შეჯიბრებ ის ფართოდ გაშლით ქობულეთელი მეცხოველეები ახალ-ახალ გამარჯვებებს ოღწევენ.

ლანჩხუთის

სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ლანჩხუთის რაიონის მეცხოველეებმა მიმდინარე წლის ორ თვესა და 10 დღეში მოწველეს 5.754 ცენტნერი რძე ნაცვლად შარშან ამავე პერიოდში მიღებული 5.700 ცენტნერისა.

წარმატებებია ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადების საქმეში. სახელმწიფოს მიეყიდა 2.569 ცენტნერი ხორცი ნაცვლად შარშან მიყიდული 2.071 ცენტნერისა, რძე — 4.835 ცენტნერი ნაცვლად 4.798 ცენტნერისა, კვერცხი 492 ათასი ცალი ნაცვლად 167 ათასი ცალისა.

რაიონის მეცხოველეები ენერგიულად იბრძვიან იმისათვის, რომ სახელოვნად შეასრულონ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

პირველობას არავის უთმობს სოფელ ნიგოითის კოლმეურნეობის წევრი **გიორგი ფხაკაძე.** მან ერთ საფურაქი ძროხაზე მოწველა 227 კილოგრამი რძე. შარშან კი ამ დროისათვის მიღებული ჰქონდა 161 კილოგრამი. სოფელ ეწრის კოლმეურნეობის ფერმის მწველავმა **გიგატანგ კვეჭაძემ** ერთ საფურაქი ძროხაზე მიიღო 180 კილოგრამისა. ასევე დაწინაურდა სოფელ მამათის კოლმეურნეობის წევრი **ამირან კილაძე.**

ხობი

მეცხოველეობის ფერმების დათვალიერების დღეს კარგი მაჩვენებლებით შეხვდნენ ხობის რაიონის მშრომელები.

ვადაზე 15 დღით ადრე შესრულდა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 4.140 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 4.130 ცენტნერისა, რძე მიეყიდა 2.230 ცენტნერი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 2.020 ცენტნერისა, კვერცხი — 254 ათასი ცალი ნაცვლად 160 ათასი ცალისა.

სოფელ პირველი მაისის კოლმეურნეობის წევრმა **ეორეი ტაბრავამ** გუშინდელი დღის ჩათვლით 17 ძროხაზე მიიღო 4.800 კილოგრამი რძე, ნაცვლად 2476 კილოგრამისა, პატარა ფოთის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მუშაკმა **ლიდა ცილაგავამ** — 14 ძროხაზე 3.500 კილოგრამი რძე ნაცვლად 2.158 კილოგრამისა.

ზ ორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობა „ჩვენი შრომის" მეცხოველეებმა ხუთწლედის მესამე დამკვრელური წლის ორი თვის განმავლობაში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3.500 კილოგრამით მეტი რძე მოწველეს. ეს მიღწეულია პირუტყვის კარგი მოვლით, კვების სწორი რაციონით, ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის ახალგაზრდა სპეციალისტს, კოლმეურნეობის მთავარ ზოოტექნიკოსს ვივი გიუნაშვილს. სურათზე: ბ. ბიუნაშვილი.

ი. დაგითაშვილის ფოტო

□ მეცხოველეებო! ახალი ძალით გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება!

□ მეცხოველეობის ფერმების რესპუბლიკური დათვალიერება გადავაქციოთ სიუხვისათვის ბრძოლის მძლავრ საშუალებად!

ა. ნ. კოსიგინი ირანში

თეირანი, 15 მარტი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი შეხვდა და ესაუბრა ირანის შაჰინშაჰს მოჰამედ რეზა ფეიღლევის.

საუბრის დროს გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობის საკითხებსა და ორივე მხარისათვის საინტერესო აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. ორივე მხარემ გამოთქვა სურვილი კვლავაც განავითარონ თანამშრომლობა და კეთილმეზობლური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის ორივე ქვეყნის ხალხთა და მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

საუბარში, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, მონაწილეობა მიიღეს ირანის პრემიერ-მინისტრმა ა. ა. ჰოვეიდამ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. ჰალამბარიმ.

ისპაანი, 16 მარტი. (საკდესი). აქ გაიმართა ისპაანის მეტალურგიული კომბინატის ოფიციალური გახსნის საზეიმო ცერემონია. კომბინატი აშენდა საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით.

კომბინატის ტერიტორიაზე გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელზეც ხოტყვები წარმოთქვეს ირანის შაჰინშაჰმა მოჰამედ რეზა ფეიღლევიმ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა.

თეირანი, 16 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მთავრობასა და ირანის მთავრობას შორის დადებულ შეთანხმებასა ისაძაანის მეტალურგიული ქარხნის გაფართოებაში თანამშრომლობის შესახებ.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ა. კულეკვამ და ირანის ეკონომიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ ფ. ნაჯმაბადიმ.

ხელმოწერას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, ირანის პრემიერ-მინისტრი ა. ა. ჰოვეიდა, ეკონომიკის მინისტრი ჰ. ანსარი, საბჭოთა კავშირის ელჩი ირანში ვ. ი. ეროფეევი, სხვა ოფიციალური პირები.



მეგობრობის მოძღვარალი

დ. გულიას დაბადების 100 წლისთავისათვის

მოგავალი წლის თებერვალში სრულდება გამოჩენილი საბჭოთა მწერლის, აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებლის დიმიტრი გულიას დაბადების 100 წლისთავი.

ამ კომუნისტი მწერლის ცხოვრება და შემოქმედება ხალხის ინტერესებისადმი, კომუნისტური პარტიისადმი უანგარო სამსახურის მკაფიო მაგალითია. მისმა ნაწარმოებებმა, რომლებიც სრულად და ღრმად ასახავენ ხალხის სულიერ სიმდიდრეს, ფართო აღიარება მოიპოვეს. დ. გულიამ აფხაზური ლიტერატურა გაამდიდრა ქართული, რუსული, მსოფლიო კლასიკის და თანამედროვე ლიტერატურის ნაწარმოებთა შედევრების თარგმანებით. მან აფხაზურად თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", „ამბავი იორეს ლაშქრობისა", ა. პუშკინის, ი. კრილოვის, ტ. შევჩენკოს, ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ა. ისაკიანის, კ. ხეთაგუროვისა და სხვათა ნაწარმოებები. დიდია მწერლის დამსახურება აფხაზური ეროვნული თვალსაზრისის შექმნასა და განვითარებაში, მეცნიერების, ცალკეული დარგების განვითარებაში.

დ. გულია იყო გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, ინტერნაციონალისტი, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის შთაგონებული მომღერალი.

მწერლის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით გადაწყვეტილია 1974 წლის თებერვალში მოეწყოს ამ თარიღისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმი.

შეიქმნა აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. გულიას ფონდი მომწყობი მთავრობის საიუბილეო კომიტეტი. კომიტეტის თავმჯდომარეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე.

კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანენ გ. აბაშიძე (თავმჯდომარის მოადგილე), ი. აბაშიძე, დ. ანთაძე, ვ. ანჯაფარიძე, ა. ბალანჩივაძე, გ. ბენინეიშვილი, დ. გოგოხია, ვ. ჟუკუშვილი, ს. დოლიძე, ნ. დუმბაძე, ო. თაქთაქიშვილი, ი. თარმა, კ. კალაძე, ე. მაღრაძე, რ. მარგიანი, მ. მაჭავარიანი, დ. მჭედლიშვილი, ი. ნონეშვილი, ბ. ჟღენტი, შ. სალარიძე, ი. ქეცბა, შ. ყარყარაშვილი, ბ. შინკუბა, ჯ. ჩარკვიანი, ა. ჩიქობავა, გ. ციცეშვილი, თ. ჭილაძე, უ. ჯაფარიძე.

(საქინფორმი).

ზეიმი ისპაანში

ისპაანი. 16 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ქალაქი აღნიშნავს დიდ დღესასწაულს — მეტალურგიული კომბინატის პირველი რიგის გახსნას, რომელიც აშენდა საბჭოთა კავშირის ეკონომიური და ტექნიკური ხელშეწყობით.

დღესასწაული დაუკავშირდა მეტალურგის დღეს, რომელსაც ირანში ზეიმობენ უკვე მეხუთე წელია 1968 წლის მარტიდან, როცა საძირკველი ჩაეყარა ირანის მეტალურგიის ამ პირმშოს.

კომბინატის გახსნის ოფიციალურ ცერემონიაში მონაწილეობისათვის ისპაანში ჩამოვიდნენ ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეიღლევი და დედოფალი ფარაჰი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, რომელიც აქ იმყოფება ირანის მთავრობის მიწვევით. აქვე არიან ირანის პრემიერ-მინისტრი ა. ა. ჰოვეიდა, სენატის თავმჯდომარე დ. შარიფ იმამი, მეჯლისის თავმჯდომარე ა. რიაზი, ა. ნ. კოსიგინის თანმხლები ოფიციალური პირნი, სსრ კავშირის ელჩი ირანში ვ. ი. ეროფეევი.

ცერემონიაზე გამოსულმა ირანის ეკონომიკის მინისტრმა ჰ. ანსარიმ ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა კავშირის დიდი წვლილი კომბინატის პირველი რიგის შექმნაში, რომლის მშენებლობაზე ირანელ კოლეგებთან მხარდამხარ მუშაობდნენ საბჭოთა სპეციალისტები.

ირანის ეროვნული მეტალურგიული კორპორაციის დირექტორ-განმგეგრულებელმა ა. შეიბანიმ გამოაცხადა ჩვენს ამ უდიდესი მეტალურგიული საწარმოს საზეიმო გახსნა.

მასობრივი მიტინგი ქ. ჭარხნის ტერიტორიაზე გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ ქ. ჭარხნის 7.000 ირანელი მუშა, ტექნიკოსი და ინჟინერი, საბჭოთა სპეციალისტები.

მიტინგზე გამოვიდა ირანის შაჰინშაჰი მოჰამედ რეზა ფეიღლევი. მან გამოაცხადა, რომ ქარხნის პირველი რიგის ამოქმედებით ახდა ირანელი ხალხის საუკუნოვანი ოცნება. შაჰინშაჰმა მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის მთავრობას ნაყოფიერი და გულწრფელი თანამშრომლობისათვის. საბჭოთა სპეციალისტებს კი ჩინებული მუშაობისათვის.

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. მან თქვა, რომ საბჭოთა სპეციალისტების წვინაშე დასახული იყო ამოცანა, არა თუ აემენებინათ ქარხანა ირანელ კოლეგებთან ერთად, არამედ მოემზადებინათ კიდეც კვალიფიციური კადრები ამ საწარმოსათვის. მან გამოთქვა რწმენა, რომ ჩვენი ხალხების მჭიდრო თანამშრომლობა და ურთიერთნდობა საშუალებას იძლევა დასახულ ვადებში დამთავრდეს ირანელი სპეციალისტების მომზადება და გათვალისწინებული სიმძლავრეების ათვისება.

ა. ნ. კოსიგინმა წარმატებანი უსურვა ირანელ ხალხს მშვიდობიან შრომაში და გამოთქვა იმედი, რომ საბჭოთა კავშირ-ირანის თანამშრომლობა კვლავაც განვითარდება მშვიდობისა და კეთილმეზობლობის ინტერესებისათვის.

მიტინგის შემდეგ ა. ნ. კოსიგინს გულთბილი, მეგობრული შეხვედრა ჰქონდა საბჭოთა სპეციალისტებთან.

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲪᲔᲛᲐᲖᲔ

თეირანი, 16 მარტი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა გუშინ სსრ კავშირის თეირანის საელჩოში დარბაზობა გაუმართა პრემიერ-მინისტრ ა. ა. ჰოვეიდას.

დარბაზობაზე იყვნენ სენატის თავმჯდომარე ჯ. შარიფ იმამი, მეჯლისის თავმჯდომარე ა. რიაზი, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. ჰალამბარი. მინისტრები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, ირანის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. დარბაზობამ მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ა. ნ. კოსიგინი სამშობლოში გამოემგზავრა

ისპაანი, 16 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ირანში ხანმოკლე მეგობრული ვიზიტი დაამთავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, რომელიც ირანის მთავრობის მოწვევით იყო აქ.

ვიზიტის დამთავრების შემდეგ მიიღეს საბჭოთა კავშირ-ირანის ერთობლივი კომუნიკე.

ისპაანის აეროდრომზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი გამოეცალნენ ირანის პრემიერ-მინისტრმა ა. ა. ჰოვეიდამ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. ჰალამბარიმ, მინისტრებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა ირანში ვ. ი. ეროფეევმა.

აეროდრომზე ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულდა საბჭოთა კავშირისა და ირანის ჰიმნები.

მთვარემავალი მიდის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ

მოსკოელი ავტომატური კავშირგაბმულობის ცენტრი, 16 მარტი. (საკდესი). „ზღვა-მატერიკის" გარდამავალ ზონაში ლემონიეს კრატერის სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვართან კომპლექსური მეცნიერული გამოკვლევების განხორციელების შემდეგ „ლუნოხოდ-2" ავტომატური აპარატი ზღვის ზონაში დაბრუნდა.

14 და 15 მარტს თვითმავალი აპარატი მოძრაობდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით კვლევის ახალ რაიონში გასვლის მიზნით.

დღეისათვის მთვარემავლის მიერ გავლილი გზის საერთო სიგრძე შეადგენს 17 ათას 680 მეტრს. ამასთან 14 მარტს მოწყობილი რადიოკავშირის სეანსის დროს თვითმავალმა აპარატმა 2.800 მეტრი გაიარა.

„ლუნოხოდ-2" თვითმავალი აპარატი განაგრძობს მთვარის ზედაპირის კვლევას.

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲪᲔᲛᲐᲖᲔ

ᲛᲔᲤᲔᲠᲐᲚ Ი. Გ. ᲞᲐᲞᲐᲡᲥᲘᲠᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის დაჯილდოვდეს მწერალი ივანე გიორგის-ძე პაპასქირი ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. ბიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1973 წლის 15 მარტი.

ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲛᲔᲤᲔᲠᲐᲚ Ი. Გ. ᲞᲐᲞᲐᲡᲥᲘᲠᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის დაჯილდოვდეს მწერალი ივანე გიორგის-ძე პაპასქირი ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. ბიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1973 წლის 15 მარტი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტრანსპორტზე სტახანოვური მოძრაობის ერთ-ერთი თაოსანი, ამიერკავკასიის რკინიგზის უხუცესი მემანქანე, საპატიო რკინიგზელი, პერსონალური პენსიონერი, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ წევრი

ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ (ᲜᲘᲙᲝ) ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲡ-ᲫᲔ ᲒᲔᲚᲐᲫᲔ

საქართველოს	საქართველოს	საქართველოს
კომპარტიის	სსრ უმაღლესი	სსრ
ცენტრალური	საბჭოს	მინისტრთა
კომიტეტი	პრეზიდიუმი	საბჭო

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲐᲛᲬᲘᲚᲘ

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 16 ᲛᲐᲠᲢᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲐᲛᲣᲪᲔᲑᲘᲗ ᲡᲙᲒᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲘᲜᲘᲡ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲙᲘᲜᲝᲜᲛᲝᲣᲠ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲨᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲨᲠᲔ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ Ჯ. ᲨᲣᲚᲪᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙ ᲢᲐᲘᲛᲡᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲨᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲜᲠᲘ ᲖᲘᲜᲪᲐᲫᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲓᲒᲝᲛᲐᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲝ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲪᲘᲢᲐᲢᲐᲛᲓᲔ ᲛᲝᲰᲧᲐᲕᲗ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ ᲚᲒ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲛᲝᲚᲘ ᲨᲔᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲜᲠᲘ ᲖᲘᲜᲪᲐᲫᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲓᲒᲝᲛᲐᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲝ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ.

Ჯ. ᲨᲣᲚᲪᲘᲡ, ᲬᲔᲠᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲠᲒᲔᲑᲓᲐ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲕᲚᲔᲚᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲝᲡᲐᲡ.

ᲘᲡ ᲗᲥᲕᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲮᲚ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲠᲒᲔᲑᲓᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲜᲠᲘ ᲖᲘᲜᲪᲐᲫᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲓᲒᲝᲛᲐᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲝ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲝᲡᲐᲡ.

ᲘᲡ ᲗᲥᲕᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲮᲚ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲐᲪᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲝ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ.

ᲓᲔᲚᲘ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘ ᲨᲔᲣᲤᲝᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ

16 ᲛᲐᲠᲢᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲘᲜᲓᲘᲠᲐ ᲒᲐᲜᲓᲘᲡ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲬᲣᲮᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲤᲝᲗᲗᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲘ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲠᲗᲔᲑᲓᲜᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲝᲗᲐ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲝᲡᲐᲡ.

ᲥᲐᲜᲘ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ ᲒᲐᲣᲥᲛᲔᲑᲣᲚᲘᲐ

16 ᲛᲐᲠᲢᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲛ ᲰᲣᲡᲔᲘᲜᲛᲐ ᲒᲐᲐᲣᲥᲛᲐ ᲡᲐᲥᲘᲡᲢᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲐᲮᲚᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲣᲓᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲣᲚ ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲔᲚᲔᲑᲡ, ᲓᲐᲣᲬᲧᲝ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲐ.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘ“ ᲬᲔᲠᲡ, ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲧᲝᲧᲝᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘᲡ ᲞᲐᲚᲔᲡᲢᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲘ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲠᲒᲔᲑᲓᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲝ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲝᲡᲐᲡ.

ᲣᲐᲜᲐᲡᲙᲔᲚᲘ ᲧᲚᲔᲑᲘᲗ ᲘᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲓᲘᲓ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐᲡ ᲗᲣᲛᲪᲘᲡ ᲣᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲧᲘᲜᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ. ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲛᲩᲜᲔᲡ ᲔᲑᲠᲐᲗᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲧᲘᲜᲐᲡᲐᲛᲓᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ. „ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲠᲙᲣᲩᲔᲚᲘ“, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲜ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ, ᲡᲐᲡᲐᲪ ᲧᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲝᲓᲕᲔᲑᲘᲗᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ. ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲠᲙᲣᲩᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ

თბილისი რომ ლამაზი და ჯანსაღი იყოს

ადამიანის უდიერმა დამოკიდებულებამ და სხვა გარემოებებმა გამოიწვიეს ნიადაგის დაშლა-გაფხვიერება, ჩამორეცხვა და მთების გაუდაბნოება, თბილისის გარშემო ტყეების მოსპობა.

ამჟამად რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი და თბილისის გამწვანების ტრესტი ყოველწლიურ ღონეს ხმარობენ ქალაქის ირგვლივ მწვანე სამოსელის შესაქმნელად, მაგრამ ამ მეტად საჭიროებელო ღონისძიებას ყოველთვის სასურველი შედეგი როდი მოსდევს. ვაკეზე, სადაც კი შერჩენილია ნიადაგის ფენა, ტყე წარმატებით ხარობს, სადაც კი ნიადაგი აღარ არის, იქ ადამიანი უძლურია და იძულებული ხდება ათასობით წელი ელოდოს ბუნებას, რომ მან თავისი გააკეთოს, შექმნას ნიადაგი და მცენარეული გაახაროს.

ტყის ზონის შექმნა კი თბილისის ირგვლივ აუცილებელია სანიტარულ, ჰიგიენურ, კლიმატურ, სამხატვრო-დეკორატიულ და სხვა მოსაზრებებით. საჭიროა გავიხსენოთ ისიც, თუ რა დიდ საშიშროებას უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას ჰაერის გაჭუჭყიანება გამოსაბოლქვი გაზებით. ამ გარემოებით, დღეს კაცობრიობა დიდად არის შეწუხებული და ჰაერის გაწმენდა-გაჯანსაღებას პირველი რიგის ამოცანად სთვლის. ამასთან დაკავშირებით მკვეთრად იზრდება ქალაქების ირგვლივ მდებარე ტყეების როლი. სრულიად აუცილებელი გახდა, რომ თანამედროვე ქალაქი მწვანეებში იყოს ჩაფლული, მას ირგვლივ ტყის ფართო ზოლი იკრას და ადამიანს ცხოვრების ნორმალური პირობები ჰქონდეს. ამრიგად, აუცილებელია თბილისის მიდამოებში ნიადაგი შექმნას, შემდეგ კი ტყე გაშენდეს.

დღევანდელი ტექნიკა საშუალებას გვაძლევს დავაჩქაროთ ნიადაგის საფარის შექმნის პროცესი. მაგალითად, შეიძლებოდა ხელოვნური სალექრების გაკეთება მდინარეების ლამბალების შესაკავებლად და სასალნო მეურნეობაში გამოსაყენებლად, მაგრამ საკითხი ამჯერად უფრო მარტივად წყდება, ვინაიდან არსებული ორთაჭალეჯის წყალსატევი ხომ იგივე სალექარია.

ჯეს კაშხალის ზემოთ მტკვარი მდორე წყალში ყრის ნოყიერ ლამს, რომლის საუკეთესო ნაწილი წყალსატევის ქვემო ნაწილში, მის ნაპირებთან და კაშხალთან არის ჩაწოლილი. წყალსატევიდან ლამს ადვილად ამოიღებს. მიწისმწოვი მცურავი ტურბი, დაჭირხნის მილსადენში, რითაც ტუმბო გაიტანს თბილისის მიდამოების მთის კალთებზე და გააპოხიერებს მას. ყველაზე მარტივი წესით შეიძლება წყალნარევი ლამი მოესხას ფერდობს, თუ არის მისი დამაკავებელი ბალახი ან ბუჩქნარი, ხოლო თუ იგი სულ შიშველია, საჭიროა ტერასების და ორმოების მოწყობა, სადაც ლამნარევი სითხე ჩაისხმება.

ამ ღონისძიებაში ჩვენ ერთადერთ საშუალებას ვხედავთ თბილისის მიდამოებში ჯერ ნიადაგის შექმნელად, შემდეგ კი გამწვანებასათვის. მცირე ხანში, ათიოდე წლის განმავლობაში, სწრაფმზარდი ჯიშების გამოყენებით თბილისის ირგვლივ შეიძლება შეიქმნას თვალწარმტაცი ტყის ფარული და ჩვენი დედაქალაქი გადაიქცევა ნამდვილად ლამაზ და კლიმატურად ჯანსაღ ქალაქად.

ბ. გულისაშვილი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი.



ᲠᲐᲓᲘᲚᲘᲡ-ᲥᲕᲔᲨᲘ ᲨᲔᲕᲓᲘᲓᲐ!

მოსაგვარებელი საქმე

გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში ვმუშაობ და ყოველდღე ჩემი თვალით ვხედავ, ადამიანები როგორ ეკიდებიან ტყეს — ბუნების ამ ძვირფას საუნჯეს. ამას წინათ საუბარი მქონდა ამ სოფლის ზოგიერთ მცხოვრებთან, რომლებიც ოჯახობათვის შიშას ამზადებდნენ. ჩემს მოწოდებაზე, უნდა დავიცვათ ტყე, შეეშინოთ იგი ჩვენს შვილიშვილებს-მეთქი, ყველაზე უფროსმა მიპასუხა: „ეს შეშა მიც შვილიშვილს გასათბობად მინდა, თორემ მე რა ჯანდაბად მჭირდება ციცხლი“. ამ ფაქტმა მაიძულა ჩემი აზრი გამომეთქვა ამ საკითხზე.

გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფს ჩრდილოეთიდან ესაზღვრება





საქართველოს ფეხბურთი

გაპოფენაზე — ბერლინში

ზღვის ტალღებში მსუბუქად მოსრიალებს ბათუმის გემთმშენებელი ქარხნის ნახელავი — წყალქვეშაფრთიანი კატარღა „ვოლგა". იგი 40-ზე მეტ ქვეყანაში იგზავნება და მოწონებით სარგებლობს. შარშან გემთმშენებლებმა გამოუშვეს წყალქვეშაფრთიანი კატარღა „ვოლგა-70". წელს ამ ტიპის პროდუქციის 70 პროცენტი ხაიქსპორტია.

ამას წინათ ხუთი ცალი „ვოლგა-70" გაიგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ერთი — შვეიცარიაში. წლის ბოლომდე კიდევ 12 ცალი კატარღა გაიგზავნება ამერიკაში.

წყალქვეშაფრთიანი კატარღა „ვოლგა-70" ამ გაზაფხულზე მონაწილეობას მიიღებს ბერლინის ხაერთაშორისო გამოფენაზე.

ბრ. ჩხაიძე.

დაჯილდოვეს საიუბილეო ნიშნით

ამ დღეებში თბილისში მიიღეს ცნობა, რომ საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მთავრობათა კომისიასთან არსებუმლა მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მუდმივმა ქვეკომისიამ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის პათოფიზიოლოგიისა და მორფოლოგიის განყოფილების გამგე პროფესორი გ. მჭედლიშვილი დაჯილდოვა საპატიო სიგელითა და „საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის 25 წლის საიუბილეო ნიშნით".

გ. მჭედლიშვილი რამდენჯერმე ოფო სამეცნიერო მივლინებით პოლონეთში, სადაც გამოდიოდა მოხსენებებით ვირშავისა და ვროცლავის სამეცნიერო დაწესებულებებში. 1964 წელს პოლონეთის ფიზიოლოგთა საზოგადოების მიწვევით იგი გამოდიოდა ლექციების ციკლით „თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ნორმალური და პათოლოგიური ფიზიოლოგია".

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის პათოფიზიოლოგიისა და მორფოლოგიის განყოფილებამ, რომელსაც გ. მჭედლიშვილი ხელმძღვანელობს, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური სამედიცინო ცენტრის ნევროპათოლოგიის განყოფილებასთან თანამშრომლობა დაიწყო 60-იანი წლების შუა პერიოდიდან. პოლონელი კოლეგები დაინტერესა გ. მჭედლიშვილისა და მისი თანამშრომლების ბიერ დამუშავებულმა ექსპერიმენტულმა მოდელმა, რომლის გამოყენებით შეისწავლება ქანგბადის უკმარობა თავის ტვინში.

(„კომუნისტის" კორ.).

გაზაფხული

გაზაფხული დადგა. იღვიძებს ბუნება. ბაღებში ხეები აყვავდა.

საქინფორმის ფოტოკორესპონდენტმა ი. ნანიკაშვილმა ამ ფოტოსურათს, რომელიც მახარაძის რაიონის ნასაკირალის ჩაის სახბჭოთა მეურნეობაშია გადაღებული, უწოდა „გაზაფხული საქართველოში".

სურათზე: მახარაძის რაიონის ნასაკირალის საშუალო სკოლის X კლასის ფრიალიანი მოსწავლე დიდო კიკვაძე.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამ ორიოდე წლის წინათ ჩამოყალიბდა ქართული კულტურისა და ისტორიის ძეგლთა აღწერისათვის მასალების მოსაძებნელი ექსპედიცია, რომელსაც დაევალა სადაზვერვო-არქეოლოგიური მუშაობა მცხეთის რაიონში. ექსპედიციამ მუშაობა ნასტაკისის ველზე დაიწყო, შემდეგ კი სარკინეთის ქედზე და სოფელ ძალისის მიდამოებში გადაინაცვლა. ხამუშაოთა ნაწილი წარმატებით დაგვირგვინდა 1972 წელს. სწორედ ამ ხანელი-არქეოლოგიურ ხამუშაოთა შედეგების გაცნობას ეძღვნება ეს წერილი.

□ □

ძველი ქალაქების საიდუმლო

პირველი აღმოჩენები

ნასტაკისის ველი მცხეთის დასავლეთით მდებარეობს, სამკუთხედში, რომელიც წარმოქმნება მდინარეების მტკვრისა და ქსნის შესაყარში. ძველ ქართულ ხალხტორიულ წყაროებში ნასტაკისი მოიხსენიება ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ლაშქრობასთან დაკავშირებით.

ამ ცნობებს ძვ. წ. IV საუკუნეში ადგილი ვაქვს. მათი მიხედვით ეს ადგილი მდ. ქსნის ნაპირზე მდებარეობს. ეს იყო და ეს, რაც ჩვენ ვიცოდით წერილობითი წყაროების მიხედვით ნასტაკისის შესახებ. ვათხრეთ ამ კი სრულიად ახალი, დღემდე უცნობი ნაქალაქარი გამოავლინა. აღმოჩენილი მასალების მიხედვით ნასტაკისის ველზე ქალაქური ტიპის დასახლება ძვ. წ. IV-III საუკუნეების მიჯნაზე მაინც არის წარმოქმნილი, ადრე თუ არა. ამას მოწმობს აქ აღმოჩენილი, ბაზალტის ქვისაგან შესანიშნავად გამთლილი ე. წ. დორიული ორდერის კაპიტელები, არქიტრავის ქვა, ალიზის აგურები, კონგლომერატისა და ქვიშაქვის კვადრებით ნაგები შენობები, ხელით ნაძერწი, მუქი წითელი სალებავით შეღებილი ბრტყელი და ღარისებრი კრამიტები და დიდძალი მოხატული ჭურჭლის ნატეხები.

გამოირკვა აგრეთვე, რომ ქალაქი მდებარეობდა მდ. ქსნის მარცხენა ნაპირის გაყოლებაზე. როგორც ჩანს, ქალაქს განვითარებისა და გავრცელების უმაღლესი დონისათვის მიუღწევია ახ. წ. IV-V საუკუნეებში. ამ ხანაში ალიზის აგურით მშენებლობა მოუტოვებიათ და სამშენებლო მასალად რიყის, ქვიშაქვისა და კონგლომერატის ნატეხები, ხოლო შემაკავშირებელ საშუალებად თიხა-ალიზი გამოუყენებიათ.

გამოვლენილი საცხოვრებელი კომპლექსები მრავალსართულიანია. ნაგებობებში საცხოვრებელთა გვერდით გვაქვს საკულტო (ეკლესია) და საბუღრეო (ბარანი) დანიშნულების ხელოვნებანი. საცხოვრებელი ნაგებობები შესანიშნავად არის დაგეგმარებული — სენაკების ცენტრში ოთხკუთხედი კერებია გამართული, მარნებში 8-10 ქვევრია, იატაკი თიხატკეპნილია. ნაგებობები დახურული ყოფილა კრამიტით. ნაქალაქარს აქვს თავისი სამაროვანი, ქვიშაქვის ფილებით შედგენილი სამარხებით; მიკვლეულ იქნა საწარმოო უბანი, სადაც ქურის ნამსხვა აღმოჩენილი.

ნაქალაქარს, მთელი რიგი თავისებურებანი აქვს. ყოველ საცხოვრებელ ნაგებობაში ერთი სენაკი წარმოადგენს ეკლესიას, რომელსაც მშვენიერად გამოკვეთილი აბსიდი აქვს. ორ შემოხვევაში დასავლეთის მხრიდან ეკლესიებს ნართექსები აქვს მიშენებული. ამამდე ასეთი ტიპის საცხოვრებელი ნაგებობანი ცნობილი არ ყოფილა.

როგორც ირკვევა, ქალაქი მცხოვრებლებს თავისი ნებით დაუტოვებიათ, და წასვლის დროს ყველაფერი თან წაუღიათ. ზოგიერთებს მთელი ქვევრებიც კი. ნაქალაქარის ტერიტორიაზე არ შეინიშნება არავითარი რბევის, ძარცვის ან ძალადობის კვალი, როგორც ეს მცხეთაშია დადასტურებული. გვახსენდება მემატიანის სიტყვები: „მაშინ მცხეთა ათხელდებოდა, ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალა განდიდებოდა".

ყველაფრის ჩამოთვლა საგაზეთო წერილში შეუძლებელია, მაგრამ გახთხარი მასალებიდან ერთი დასკვნა მაინც უნდა გამოვიტანოთ: ნასტაკისი წარმოადგენდა იბერიის სამეფოს დედაქალაქის „ძველი მცხეთის" ერთ-ერთ ძირითად უბანს. ამტკიცებ კიდ, რომ ძველმა ქართულმა საისტორიო მწერლობამ იმ დიდი ძვრების ადგილად, რომელიც ძვ. წ. IV საუკუნეში მოხდა და ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის მიხედვით არის ასახული, სწორედ ნასტაკისი დაასახელა და არა სხვა ადგილი.

1972 წელს გაგრძელდა გათხრები სარკინეთის ქედზე, რომლის წვერსა და სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე ქალაქი ყოფილა გაშენებული. იგი მდებარეობდა მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, შიო მღვიმის მონასტრის მიდამოებში, მის სამხრეთით. ქალაქის ტერიტორია დაცული ყოფილა ბუნებრივი სიმაგრეებით — მიუვალი ხევებითა და ალიზის აგურით ნაშენი გალავნით.

ქალაქი სარკინე ძველ ქართულ ხალხტორიო წყაროებში არაერთგზის არის მოხსენიებული. „ქართლის ცხოვრების" მატიანეში იგი ალექსანდრე მაკედონელზე ადრეულ ამბებთანაც კი იხსენიება. ხადაზვერვო-არქეოლოგიურმა გათხრებმა, რაც ხარკინეთის ქედზე ჩატარდა, ნათლად წარმოაჩინა ქალაქის ტერიტორია, მისი საზღვრები, გამაგრების სისტემა, დასახლების ტიპი, გეგმარება, განვითარება და კულტურის დონე. პირველი რიგში თვალში ვვეცემა ქალაქის მშენებლობისათვის შერჩეული ადგილის სტრატეგიული მნიშვნელობა. მდებარეობით, გამაგრების სისტემით, არქიტექტურული გაფორმებით სარკინე იმდროინდელი ქალაქების ტიპიური წარმომადგენელია.

ქალაქი მთის ფერდობზეა შეფენილი, ამდენად საცხოვრებელი თუ სხვა დანიშნულების ნაგებობანი ტერასებად ყოფილა განლაგებული. როგორც განათხარი მასალები მოწმობენ, ქალაქის ტერიტორიაზე მდგარა გათლილი ალიზით, ალიზის აგურითა და ხის მასალით ნაგები და არქიტექტურულად გაფორმებული შენობები, რომლებიც გადახურული ყოფილა ბრტყელი, გვერდებაკეცილი და ღარისებრი კრამიტით. თვითეული მათგანი 8-12 კილოგრამს იწონიდა. აღსანიშნავია თიხისაგან დამზადებული პატარა ფილები, რომლებსაც ალბათ იატაკის მოსაპირკეთებლად იყენებდნენ. ერთ თხრილში აღმოჩნდა ძირის თახების, წითელლაქაანი და ფაიანსის ჯამის ნატეხები, მეორე თხრილში კი, ნაგებობის კრამიტის ჩალეწილ სახურავქვამ, — თიხის ნიღბებისა და ქანდაკების ნატეხები, ძვლისაგან გაკეთებული სამკაულები, ვერცლის ზარი, ბრონზაოს ახჯანები და სვეტის ძირისათვის თეთრი ქვიშაქვისაგან შესანიშნავად გამოკვეთილი ბალიშის ნაწილი.

სარკინეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მასალებს შორის ყურადღებას იპყრობს თიხისაგან დამზადებული ნიღბები და ქანდაკების ნატეხები, რომლებიც ასეთი რაოდენობით საქართველოში დღემდე აღმოჩენილი არ ყოფილა. მასალების პირველადი გაცნობა საშუალებას იძლევა ისინი მეგვინახიობა-მეღვინეობის მფარველი ღვთაების — დიონისეს კულტს დაუკავშიროთ. ზოგიერთი ნიღაბი შემკულია ვაზის ფოთლებისა და ყურძნის მტევნების გამოსახულებით.

მართალია, აღმოჩენილი ნიღბები უშუალოდ თეატრის მსახიობთა ნიღბებს არ წარმოადგენენ (ისინი ალბათ შენობის ინტერიერში დეკორად იყო გამოყენებული), მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათს აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ახლა ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვივარაუდოთ ამ ხანისათვის თეატრისა და მასთან დაკავშირებული ატრიბუტების არსებობა. შოპოვებული მასალები სარკინე ქალაქის არსებობის დასასრულ ხანას, ე. ი. ძვ. წ. II-I საუკუნეებს მიეკუთვნოს. ამდენად, წერილობითს წყაროებში მოხსენიებული ქალაქი სარკინე მატერიალური კულტურის ძეგლებითაც იქნა დამოწმებული. აღმოჩენილი მასალების საშუალებით ის მკაფიოდაა, რომ სარკინე თავისი განვითარებით და კულტურული ცხოვრების დონით იმდროინდელი, ელინისტური ხანის, მსოფლიოს ქალაქებს სიმაღლეზე იდგა.

სადაზვერვო-არქეოლოგიური საძუშაოები ხატარდა მცხეთის რაიონის სოფელ ძალისშიც, მდ. ნარეკვავის მარცხენა ნაპირზე. ეს ადგილი ოთხი სადაზვერვო თხრილი. ადგილი, სადაც საცდელი თხრილები გაკეთდა, ძალისის საბჭოთა მეურნეობას ეკუთვნის და ვაკეს წარმოადგენს. აქ მიკვლეულ იქნა ბაზალტის ქვისაგან გამოთლილი ბაზა-სვეტის ძირი და ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ აქვავე ადგილებში ამოთხრილი და შემდეგ შესახიშნავად გათლილი ცისფერი ტუფის დიდი ქვები. ეს კი უკვე იმას ნიშნავს, რომ ძალისის მიდამოებში ძველთა ქალაქი არსებობდა.

შესანიშნავი შედეგებით დაგვირგვინდა ამ მიდამოებში წარმოებული მცირე გათხრები. გამოვლენილ იქნა სასახლის თუ ტაძრის რანგის გათლილი ქვებით ნაგები შენობის ნანგრევები, ბაზალტის ქვისაგან გამოთლილი ბაზა და კაპიტელი, რიყისა და ქვიშაქვით დულაბზე აგებული კანალიზაციის კოლექტორი, I-III საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ბრტყელი ბრტყელი ოთხკუთხედი აგურით ფენილი ჭერები და მოედნები, თიხის მილგაყვანილობანი და ანბარი მოხატული ია ტაკი.

განათხარი მასალებიდან ყურადღებას იპყრობს თიხის, შუშის ჭურჭლისა და სარკმლის მინის ნატეხები, ჭრაქები, კირითა და ბაჯით კედლის მოხატული შელესილობის ნაწილები, ბრტყელი, გვერდებაკეცილი და ღარისებრი კრამიტები, მათ შორის ჭურჭანის კრამიტი, რომლის დიამეტრი 38-42 სმ უდრის. კალორიფერის ნატეხებები და სხვ.

აქ განათხარი ძეგლებიდან ცალკე უნდა გამოიყოს ბანაო მოზაიკური იატაკი. მისი მხოლოდ მცირე ნაწილი — სააბანაო ოთახი ბანოთხა, რომელსაც იატაკი მოზაიკური აქვა. მოზაიკა ფერადი, ოთხკუთხედი ქვებით არის გაკეთებული, შემკულია არშიებით, მცენარეული ორნამენტებითა და ზღვის ფაუნით. აბანაო ნახევარწრიული ადგილიდან წარმოადგენს, რომელიც იატაკზე ერთი საფეხურით დაბლა მდებარეობს. თვით აბანოს შენობა აგებული ყოფილა ქვიშაქვით.

მოზაიკის აღმოჩენა აღმოსავლეთ საქართველოში პირველი, უნიკალური შემთხვევაა. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ აღმოჩენილი მოზაიკა ახ. წ. აღრიცხვით II საუკუნეზე გვიანი არ უნდა იყოს, მაშინ ცხადი გახდება, რომ ძალისში აღმოჩენილი მოზაიკა საქართველოში ჯერჯერობით ყველაზე ადრეულია, მას ტოლი არ მოეპოვება. განათხარი მოზაიკა ნაკლებად ჰგავს რომაულ სამყაროში გავრცელებულ მოზაიკებს და მათგან თითქოს განცალკევებით დგას. ამდენად, სავარაუდოა, რომ ეს მოზაიკა ადგილობრივ, ქართულ ნიადაგზეა შექმნილი. თუ გავითვალისწინებთ გათხრების დროს მოპოვებულ მასალებს, ძალისის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნაქალაქარი თავისი გეგმარებით, სასახლისა და ტაძრის ნანგრევებით, აგურფენილი ქუჩა-მოედნებით, მოზაიკურიატაკიანი აბანოთი, ალიზის აგურით ნაგები შენობებით (რომლებიც შიგნიდან შელესილი და მოხატული ყოფილა), კანალიზაციის კოლექტორით, წყალსადენითა და ა. შ. ახ. წ. I-IV საუკუნეებს მიეკუთვნება.

ქართლის ტერიტორიაზე ამ ხანებში (ახ. წ. II საუკუნის ბერძენი გეოგრაფის პტოლემაიოსის მიხედვით არსებობდა ქალაქი ძალისა. ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში კი ამ სახელით ქალაქი მოხსენიებული არ არის. მიუხედავად ამისა, „ქართლის ცხოვრებაში" დაცულია ყრუ ცნობა ამ ადგილებში ქალაქის არსებობის შესახებ. ეს არის ლეონტი მროველის მიერ მოხსენიებული „შუნარსაშს კერძ ქალაქსა", რომელიც იბერიაში არსებული ორმეფობის ხანაში მეფის რეზიდენციას წარმოადგენდა.

ასეთია პირველი შედეგები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალი გათხრების შედეგად ამ ქალაქების საბოლოოდ აეფდება საიდუმლოების საბურველი.

ალ. გოხოჩაძე,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

* * *

სურათებზე: თიხის ნიღაბი ქალი გამოსახულებით (სარკინე, ძვ. წ. II-I ს.ს.); ქვემოთ — საცხოვრებელი ნაგებობის ნაშთები (ნასტაკისი — ახ. წ. IV-V ს.ს.); ქვემოთ, მარჯვნივ თიხის ქანდაკებაა ნატეხი — ხელის ნაწილი (სარკინე — ძვ. წ. II-I ს. ს.).

მ. კუზლოვსკისა და ზ. ჰეხაშვილის ფოტო.



კალათბურთი

ფინიშის სწორზე

1 აპრილს მინსკში გაიმართება ევროკალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის („ა" კლასის უმაღლესი ლიგა) დასკვნითი მატჩები, რომლებიც გამოარკვევენ ახალ ჩემპიონსა და საპატიო კვარცხლბეკის ორ დანარჩენ „ბინადარს".

ახლა კი ჩემპიონატი, როგორც იტყვიან, ფინიშის სწორზე გავიდა — გუნდებს წაგარებული აქვთ ოც-ოცი და მეტი შეხვედრა.

რა მდგომარეობაა სატურნირო ცხრილში? გათამაშებას დამაჯერებლად ლიდერობს ქუთაისის 11-გზის ჩემპიონი ცსკა. დედაქალაქის არმიელები მატჩს მატჩზე იგებენ (18 გამარჯვება 20-დან) და, როგორც ჩანს, წელსაც მიაღწევენ საწადელს.

არმიელებს უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობა ქყავთ. მართალია, ტრავმის გამო არ გამოდის ცსკა-ს ცენტრალური თავდამსხმელი ანდრეევი, რომელსაც ჯერ სრულფასოვნად ვერ ცვლის ახალგაზრდა დიაჩენკო (სიმაღლე 214 სმ), მაგრამ გამოცდილმა მწვრთნელმა ა. გომელსკიმ შეძლო გუნდის თამაშის ტაქტიკურ საქმეში გარკვეული „კორექტივის" შეტანა. ცსკა ახლა უტკივს ცენტრიდანაც და მეველებითაც, რომლებიც სულ უფრო ხშირად შედიან მეჯოქის ფარეში (ბელოვი, ედიშკო, მილოსავლევიჩი, დოვეგა, იასტრებოვი).

მოსკოვის არმიელთა ძალა ბოლოდ გამოსცადეს ევროპის საუკეთესო კლუბებმა — იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდამ" და იტალიის „ინისმა", რომელიც 22 მარტს ახლა ლიეჟში შეხვდება ცსკა-ს.

არმიელები დღეს თბილისის სპორტის სასახლეში გამოვლენ ჩვენი „დინამოს" წინააღმდეგ. შეძლებენ თუ ვერა ქართველი კალათბურთელები მეტოქეს მესამე დამარცხება მიაყენონ თუ გულნაკლულნი მეათედ დატოვებენ სარბიელს? თბილისელებს ჯერ კიდევ აქვთ შანსი იბრძოლონ საპრიზო სამეულში მოხვედრისათვის, რომელზეც უფრო დიდ პრეტენზიას აცხადებენ კუნასის „ჟალგირისი", ლენინგრადის „სპარტაკი" და მოსკოვის „დინამო".

ცხადია, ძალიან ძნელია თანამედროვე კალათბურთში კარგი თამაში უჩვენო, თუ არა გყავს სრულფასოვანი ცენტრი და მაღალი ტანის სპორტსმენები.

მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, — თბილისელები ყველაფერს გააკეთებენ, რომ ხელიდან არ გაუშვან „ხაკუთარი კედლების" უპირატესობა.

ამისათვის კი გუნდს მართებს გაბედულები მტკი მონდომება, სწორი ტაქტიკური ბრძოლა, სისწრაფე, ზუსტი გადაცემები, შედეგიანობა.

□ □

ჰაკერაკის დაფებთან

ტალინი. საერთაშორისო ტურნირის საპრიზო ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა: 1. ტალი — 12 ქულა, 2. პოლუგაევსკი — 10,5 ქულა, 3-6. ბალაშოვი, ბრონშტეინი, კერესი, სპასკი — 9 ქულა, 7-8. ანდერსონი და ნეი — 8 ქულა.

პოლუგაევსკის, ბალაშოვს, ბრონშტეინსა და კერესს ჩაეთვალათ გროსმაისტერის წოდების დამტკიცება. თუმცა ტალსა და სპასკის ორივ მსოფლიოს ექს-ჩემპიონებს ეს წოდება საუდადოდ აქვთ დამტკიცებული. ტურნირში მონაწილე ვერცერმა ოსტატმა ვერ შეძლო გროსმაისტერის ნორმის შესრულება. რიტოვმა 6,5 ქულა მოაგროვა, რაც საერთაშორისო ოსტატის ბალს უდრის.

თბილისი. გრძელდება თბილისის ჩემპიონატი ქალთა და ვაჟთა შორის.

ქალთა ჩემპიონატს ჩინებული შედეგით — 5,5 ქულით 6 შესაძლებლიდან ლიდერობს ოსტატი კობაძე. მეორე ადგილზე გადაინაცვლა ოსტატობის კანდიდატმა ჩიბურდანიძემ, რომელმაც სძლია ოსტატობის კანდიდატ კაჭარავას. ჩიბუდანიძეს 5 ქულა აქვს. 4,5 ქულით მესამე ადგილზეა საქართველოს ჩემპიონი, ოსტატი ხუციშვილი.

ვაჟთა ჩემპიონატს 7 ტურის შემდეგ ლიდერობენ ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატები მაჭარაშვილი და ჭიპაშვილი. მათ ხუთ-ხუთი ქულა აქვთ.

მძლეოსნობა

ოქროს ოლიმპიელის პრიზზე

● ვინ მოიპოვებს რობერტ შავლაყაძის სასაჩუქრეს? ● გაუმჯობესდება თუ არა სასახლის რეკორდები? ● რას „იტყვიან" ქართველი მძლეოსნები?

სამ ათეულზე მეტი მძლეოსანი, რომელთა შორის ნახევარი უცხოეთიდან არის ჩამოსული, მიიღებს მონაწილეობას შეჯიბრებაში ლენინის ორდენოსნის, რიგის XVII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, სპორტის დასახურებული ოსტატის რობერტ შავლაყაძის პრიზზე.

სიმაღლეზე მსტომელთა ეს საინტერესო შეჯიბრება, ოიმპლსაც დასაბამი 1970 წლიდან მიეცა, უკვე მეოთხედ ეწყობა თბილისის სპორტის სასახლეში. აღსანიშნავია, რომ პირველად საპატიო თასისათვის იბრძოდნენ მხოლოდ ვაჟები. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კი სასახლის ასპარეზზე სიმაღლეზე მსტომელ ქალებსაც ვხედავთ.

საქართველოს რეკორდსმენის პრიზის პირველ გალეტა ბერდიჩევსკმა რ. ათეტოვმა, როიელმაც გაიმეორა რ. შავლაყაძის რეკორდული ოცსანტიმეტრიანი (ორ-ორ ფეხზე) — 174 სანტიმეტრი. ასეთივე შედეგით მეორე იყო რუმინელი რ. ვინესკუ. მესამე კი — ისევ რუსეთის ფეიდერაციის წარმომადგენელი ლ. ნეიჩენკო — 171 სმ.

შარშან თბილისის ტურნირში სასახლის ასაღი რეკორდით უძლიერესი იყო ი. ტარმაკი (223 სანტიმეტრი), რომელმაც სამი სანტიმეტრით მოუგო მეორე ადგილზე გამოსულ ვ. კოზლოვს.

ქალთა შორის 180 სანტიმეტრით დამაჯერებლად გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიელმა ა. პროსკოვამ, რომელმაც სასახლის ასალი რეკორდი დაამყარა. მეორე ადგილზე გამოვიდა დანიელი ბ. აისტრონი — 177 სმ., მესამეზე — თბილისელი მ. ალიაკრინსკაია — 174 სმ.

წლევანდელ შეჯიბრებაში, რომელიც ხვალ, 18 მარტს გაიმართება თბილისის სპორტის სასახლეში, მონაწილეობენ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთის, აგფრ-ის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს უძლიერესი მხტომელები. საბჭოთა გუნდს სათავეში უდგას სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. გავრილოვი.

საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ რეპუბლიკის საუკეთესო მძლეოსნები მ. კაკაბაძეები, ნ. ვლადიმერაშვილი, მ. ალიაკრინსკაია, ფ. პოპოვი და ბ. პრესლოვი. იმედია, რომ ახალგაზრდა მძლეოსნები შეეცდებიან ღირსეულად გაგრძელონ შესანიშნავი ქართველი მხტომელების გიორგი შხვაცაბაიის, გიორგი ათანასეშვილისა და რობერტ შავლაყაძის სახელოვანი ტრადიციები.

ო. ნოზაძე.

* * *

სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონი, მოსკოველი ვ. გავრილოვი ზამთრის საკავშირო პირველობაზე ზამშენსკების სელეობის მანეეში 2 მეტრი და 20 სანტიმეტრი სიმაღლის გადალახვისას.

საკადრის ფოტოქრონიკა.

ორი „ხუთიანი"

„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოში ცნობილი გახდა მოგება, მე-7 ტიპაუის შედეგები. სპორტის სამი სალეობა სწორად ამოიცნო 3.408 კაცმა. თვითეული მათგანი სამ-სამ მანეთს მიიღებს, ოთხი ციფრის სწორად გახაზულისათვის სპორტა 221 მოყვარული დაჯილდოვდება 32 მანეთით თვითეული, ხოლო თბილისის ორი მცხოვრები ხუთი სალეობის სწორად ამოცნობისათვის მიიღებს 1.312 მანეთი.

ნ. ლონდაძე,
„სპორტლოტოს" საქართველოს ზონალური სამმართველოს ინსტრუქტორი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობისა დაცვის სამინისტრო, საქართველოს სსრ ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა საზოგადოება, „ლიოსიკური" და ექაიეოიმეტიული ლევოლოგიის ინსტიტუტი, ქალაქ ზუგდიდის რაიონული საავადყოფოა, დირექცია და ხელოვნული განყოფილეა ღრმა მწუსარებით იუწყებიან, რომ 64 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, ხალ. წევრი 1944 წლიდან, ქალაქ ზუგდიდის რაიონაავადმყოფოს ნევროლოგიური განყოფილების გამგე, ნევროპათოლოგთა და ფსიქიატრთა საქართველოს რესპუბლიკური ხაზოგადოების გამგეობის წევრი, ამ საზოგადოების ზუგდიდის ბარაიონთაშორისო ფილიალის დამაარსებელი და მისი პირველი თავმჯდომარე

ვალერიან იასონის-ძე მეუნარგია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ტელევიზია

18 მარტი

პირველი პროგრამით

10.05 — დილის ვარჯიში ბავშვებისათვის. (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.20 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მოსწავლეთათვის „მაღვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი — „ჩვენ გვაინტერესებს ეს ასაკი", 11.20 — რეკლამა, 11.30 — მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.00 — „შეეხსწავლოთ მოძრაობის წესები", 12.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. ქართული მხატვრული ფილმი „მოიტანეთ თამარ ქალი", 13.50 — „კიხოაფიშა", 14.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — „მულტკიანები", 14.50 — მოსწავლეთათვის — „ვინ უკეთ, ვინ სწრაფად", 15.40 — „ჯადოსნური ფეიანი" „პეფი და მუფი" (II სერია), 16.00 — „ახმრთელობა" — სატელევიზიო პროგრამა, 16.35 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „ბაკურიანი-74", 17.00 — „შეხვედრა მწერლებთან", 18.00 — ფერადი ტელევიზია „კინომოზაურთა კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „კინოდოკუმენტალისტის თვალით", 19.50 — „პოეტი სტუდიაში" — ფ. ხალვაში", 20.10 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.20 — პოლონური სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი: „ძიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია", XII სერია (ქართულ ენაზე), 21.20 — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საერთაშორისო ტურნირი სიმაღლეზე ხტომაში შაულაყაძის პრიზზე (ვიდეოჩანაწერი).

მეორე პროგრამით

19.25 — კონცერტი, 20.00 — მხატვრული ფილმი „რესპუბლიკის მონაპოვარი".

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო

18 მარტი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური მუსიკა, 08.00 — „გაუთ „ოთავდის" ძიმოხილვა (მოსკოვი), 08.10 — განცხადებები, 08.30 — საბჭოთა კოლაიოტორების სიმღერები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის" საკავშირო გაერთიანება, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვი), 10.15 — „დილა მშვიდობისა" (მოსკოვი), 11.00 — „ერთა დაფიანი" (მოსკოვი), 11.45 — „უსაფალური რადიოგაზეთი", 12.00 — „ქვეყნებში და კონტინენტებზე" (მოსკოვი), 12.15 — მოსწავლეთათვის. რადიოჟურნალი „ნიკადული", 13.00 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის. კონცერტი — საუბარი „შ. ძველიძის სიმფონიური პოემა „ზვიადაური", 14.00 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი", 14.30 — „ა. ბეტრაძი. სიმფონიური ცეკვები ბალეტ „ცაბეტი ვარდიდან", 14.45 — ქართველი პოეტების ლექსები, 15.00 — „ოეგოიობის კოლეგრტი". ტრანსლაცია ერევნიდან, 15.30 — „მუშათა რადიოგაზეთი" (მოსკოვი), 16.00 — „ეკახასკელი ცნობები (მოსკოვი), 16.15 — რადიოჟურნალი საჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.50 — განცხადებები, 17.00 — „მსოფლიოს ერთა კვიოის ამბები", 17.10 — „კოხცერტი „თქვენი თხოვნით მეგობეებო!", 18.10 — „დიდები და პატარები". საუბარი „ეარიოანეიისა და ალაქმართლობის გრძნობის აღზრდა ოჯახში", 18.25 — საესტრადო კონცერტი, 19.00 — „საერთაშორისო ინიციატორებენ „ოოგვალ ბაგიდასთან" (ოოსკოვი), 19.30 — „ეკარის ასსრ თვითოოქედი კოლექტივების კონცერტი, 20.00 — „ეკალაბაკელი ცოოეები (ოოსკოვი), 20.20 — „ხუთწლედის მოწინავეები" — ნარკვევი „კოლკვეძიოული ბრიგადა", 20.45 — „კინორეეესორი შ. ბაბაგაძე" (დაბადების 70 წლისთავის გამო), 21.20 — ჩაიკოვსკის საეკლესიო კონკურსის ლაურეატთა კონცერტი, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

17 მარტი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — „ეცხია აპაცი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ნუ გეშინია ლედა; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — „ეეინდი ძმანი გურჯანელნი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ 380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, ბ/მგ მდივ ნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განაყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93. მრეწველობის — 93-20-54, ოფოლის მეურნეობის — 99-62-46, სახბჭოთა მშენებლობის — 93-15-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99